პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

27 ივლისი სამშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 170 (15080)

250.000 ტონა ჩაისათვის!

ცხაკაიელ მეჩაიეთა წარმატება

● ცხაკაიელმა მეჩაიეებმა ვადამდე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრიფეს 5.219 ტონა ნედლეული ნაცვლად 5.200 ტონისა.

● რაიონის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს 10 აგვისტოსათვის წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 400 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

● ჩაის ფოთლის მიღება-გადამუშავებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ცხაკაიასა და უშაფათის ჩაის ფაბრიკებმა.

ბიბლიოთეკა

გავადიდოთ 1975 წლისათვის ჩაის წარმოება 285 ათას ტონამდე — ჩაწერილია სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში.

საქართველოს მეჩაიეებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს ეს ციფრი 300 ათასი ტონამდე გაადიდონ. რესპუბლიკაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

და აი დღეს სახიბარულო ცნობა მოვიდა ცხაკაიას რაიონიდან. 25 ივლისისათვის რაიონის მეჩაიეებმა პირველებმა რესპუბლიკაში შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

„კომუნისტის“ კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველ მდივანს ნ. ჭითანავას და სთხოვა მას ეამბნა რაიონის მეჩაიეთა წარმატების შესახებ.

□

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში თავიანთი წვლილი შეიტანეთ ცხაკაიას რაიონის მშრომელებს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სანელოვანმა მეჩაიეებმა. მათ არ დაზოგეს ენერგია, ცოდნა, რათა პირობა ვადამდე შეესრულებინათ. **მეჩაიეებმა 25 ივლისისათვის მოკრიფეს და სახელმწიფოს მიაყიდეს 5.219 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 5.200 ტონისა.**

ამ წარმატებების მოპოვებისათვის სერიოზული მუშაობა გასწიეს ყოლმეურნეობათა გამგეობებმა, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, პირველადა პარტიულმა ორგანიზაციებმა. შემოქმედებითი შრომის ვანგარდში იდგნენ კომუნისტები, მოწინავე ადამიანები. ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალებები გადაჭარბებით შესასრულეს ფოცხოს, ზანის, უშათათის, ხორშის და სხვა კოლმეურნეობებმა. ასევე კარგად იმუშავეს გურეთის, ახალსენაკის ნოქალაქევის, კოტიანეთის საბჭოთა მეურნეობებმა.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულებაში თავი გამოიჩინეს ძველი და ახალი გვარდიის მეჩაიეებმა. უშაფათელმა **თამარ გაბელიამ** უკვე მოკრიფა 5 ტონამდე ჩაის ფოთოლი, ზანელმა **ნანული აფაქიძემ**, ხორშელებმა **მარგო** და **ქლარა ბუკიებმა**, ფოცხოელებმა **ზინა სანაიამ** და **თამაშა ყურაშვილმა**, ბეთლემელმა **რაიჩკა ბარკალაიამ** ოთხ-ოთხმა ტონაზე მეტი ნედლეული მოკრიფეს.

ნაკისრ ვალდებულებათა ანგარიშში მუშაობენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები თ. გოგინავა და მ. ბუკია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი კ. ბუკია, ლენინის ორდენის კავალერი გ. გუგუნავა. ახალგაზრდა მეჩაიეები ც. ტყვეშავა, ბ. სანაია, თ. ოჩიგავა და სხვები.

რაიონის მეჩაიეები დიდად აღაფრთოვანა საქართველოს სსრ რესპუბლიკისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გადადამავალი წითელი დროშის გადაცემამ. ეს წარმატება რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა მოიპოვეს 1970 წლის მაჩვენებლებით. ამ ჯილდოს საპასუხოოდ **რაიონის მეჩაიეებმა გადაწყვიტეს წლიური გეგმის გადამეტებით 10 აგვისტოსათვის მოკრიფონ და სახელმწიფოს მიაყიდონ 400 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.**

როცა მეჩაიეთა წარმატებებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ რაიონის ჩაის ფაბრიკების კოლექტივთა შეწყობილი მუშაობა. განსაკუთრებით ყამოიჩინეს თავი ცხაკაიასა და უშაფათის ჩაის ფაბრიკებმა, რომლებმაც უზრუნველყვეს ჩაის ფოთლის შეუფერხებელი მიღება და გადამუშავება.

ცხაკაიელი მეჩაიეები ენერგიულად შრომობენ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის, თავიანთი შრომითი წარმატებებით ისინი

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲮᲘᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲘᲗ

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ...

ᲫᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომკავშირი თავისი არსებობის 50 წლისთავს იზეიმებს. ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქის — რუსთავის წითელი დროშის ორდენოსანი კომკავშირული ორგანიზაცია დიდი შრომითი და პოლიტიკური აქტივობით ემზადება ამ უმნიშვნელოვანესი თარიღისთვის. ქარხნებში, საამქროებში, ბრიგადებში სულ უფრო ჩადგება სოციალისტური შეჯიბრება, რუსთაველი კომკავშირელები სამშობლოს საკეთილდღეოდ იძლევიან მეტ თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მილებს, შინერალურ სასუქებს, ცემენტს, ამწეებსა და სხვა პროდუქციას.

ახალგაზრდობას მზარში უდგას და აქტიურ დახმარებას უწევს ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ, რომლის შემადგენლობაში არიან პირველი რუსთაველი მშენებლები, მეტალურგები, ქიმიკოსები. ბევრი მათგანი რუსთავში მოსვლამდე აქტიურად მონაწილეობდა სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ უბანზე. ასეთები არიან კ. ბარამიძე, საბჭოთა კავშირის გმირი გ. ბუაჩიძე, ტ. ერმილიანი, კ. ქორია და სხვები. ვეტერანი კომკავშირელები ხანდაზმულობის მიუხედავად კვლავ მწყობრში დგანან და სახალხო მეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე თავიანთ მდიდარ გამოცდილებას გადასცემენ ქალაქის ახალგაზრდობას.

საბჭო, რომელიც 1968 წლიდან არსებობს, 11 კაცს აერთიანებს. აშას გარდა დიდ წარმოებებში შექმნილია ვეტერან კომკავშირელთა საქარხნო საბჭოები.

საქალაქო საბჭო ახალგაზრდობას აცნობს ლენინური კომკავშირის სახელოვან ისტორიას, ზრდის მას რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებზე. ბევრი ვეტერანი კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მომხსენებელთა ჯგუფის წევრია. ისინი აწყობენ კომკავშირულ ლაშქრობებს მამათა დიდების გზებზე. მაგალითად, კომკავშირელებმა ვეტერანთა ხელმძღვანელობით მოაწყეს ლაშქრობა მარუხის უღელტეხილზე, სადაც დადგინეს უცნობ გმირთა მისამართები, კომუნარი დაამყარეს ამ ბრძოლის მონაწილეთა ახლობლებთან, მათ შესახებ საინტერესო ხასრძოლო ეპიზოდები უამბეს ახალგაზრდებს.

საინტერესო ლაშქრობა მოეწყო მე-11 ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ. ლაშქრობაზე ძირითადად იყვნენ მეტალურგიული ქარხნის ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებმაც ქოროღლის ციხე-სიმაგრესთან ალმართეს ობელისკი სამოქალაქო ომში დაღუპულ გმირთა უკვდავსაყოფად.

ვეტერან კომკავშირელთა საბჭო პერიოდულად აწყობს ᲮᲐᲠᲘ ᲗᲐᲛᲑᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲡ. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა ამას წინათ მოეწყო ქიმიკოსთა სასახლეში პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულებთან. ამ დროს საზეიმო ვითარებაში მოხდა მათი „ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲓ ᲜᲐᲗᲚᲝᲑᲐᲗᲐ“.

ამ შეხვედრისას ვეტერანმა კომკავშირელებმა ილაპარაკეს, თუ როგორი პატრიოტული შემართებით შენდებოდა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და სხვა სამრეწველო საწარმოები უკაცრიელ ველზე.

საბჭომ კომკავშირის საქალაქო კომიტეტთან ერთად შეაგროვა მდიდარი მასალები, რომლებშიც ასახულია რუსთავის ისტორია და ამ ქალაქის ახალგაზრდობის როლი მის გარდაქმნაში. მასალების შეგროვებაში ფაროთად იყვნენ ჩაბმული ქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები. უახლოეს ხანში ეს მასალები გამოფენილ იქნება სპეციალურ მუზეუმში, რომელიც მალე გაიხსნება.

განსაკუთრებული აქტივობით ემზადებიან კომკავშირული მოძრაობის ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘ კომკავშირის საიუბილეო ზეიმისათვის. შემუშავებულია კონკრეტული გეგმა, ქალაქის ყველა ორგანიზაციაში მოეწყობა შეხვედრები კომკავშირულ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ, სამამულო ომისა და შრომის გმირებთან, ძველ რევოლუციონერებთან... გაიმართება თემატური საღამო თემაზე: „ᲛᲐᲛᲐᲗᲐ ᲐᲜᲓᲠᲔᲫᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲗᲘ“

საბჭოს გადაწყვეტილი აქვს სექტემბერში მოაწყოს კომკავშირული დიდების კვირეული. ამ პერიოდში რუსთავის კომკავშირი უპატრონებს პარტიის ახალგაზრდების მიერ ხუთწლედის ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას. ამასთან მას პირობას მისცემს, რომ იქნება მამათა ტრადიციების ერთგული და უფადამ მოწინავეთა რიგებში იდგება.

ქალაქის სტადიონზე მოეწყობა ახალგაზრდობის დღესასწაული, რომელიც ჩვენს მეხსიერებაში გაიცოცხლებს სამამულო ომის ეპიზოდებს, პირველი ხუთწლედების გმირებს, ახალგაზრდა ქალაქის — რუსთავის სახელოვან ისტორიას.

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ კომკავშირელთა საქალაქო საბჭოს განზრახული აქვს აგვისტოში მოაწყოს ლაშქრობა მე-18 საკავალერიო დივიზიის ნაკვალევზე. მაბრუტი ასეთი იქნება: ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ-ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ.

ლაშქრობის მონაწილენი შეხვდებიან ამ ქალაქებში მცხოვრებ ვეტერან კომკავშირელებს, ახალგაზრდობას, რომლებსაც გადასცემენ სამახსოვრო ფოტოალბომებს. ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებენ ძირითადად მეტალურგები, მშენებლები, ქიმიკოსები და მეცეკმენტეები. ამ ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ მისი მონაწილენი დაწერილებით უამბობენ თავიანთ მეგობრებს იქ ნანახსა და განცდილს. ისინი საინტერესო მასალებს მოათავსებენ კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე.

სექტემბერში განზრახული გვაქვს მოვაწყოთ რუსთავის პირველ მშენებელთა შეხვედრა. ბევრი მათგანი, რომლებიც ახლა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობს, მოწვეული იქნება ამ შეხვედრაზე და გადაეცემათ კომკავშირის 50 წლისთავის სამახსოვრო ხარუჭრები.

ასე ემზადება ქართველ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქის კომკავშირელ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ საბჭო საქართველოს კომკავშირის სახელოვანი იუბილესთვის.

Ა. ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

რუსთავის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კომკავშირული ორგანიზაციის საქალაქო კომიტეტთან არსებული ვეტერან კომკავშირელთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, თადარიგის პოლკოვნიკი.

ᲘᲜᲥᲘᲜᲠᲔᲑᲘ — ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ!

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV კრებების მუშაობის დამთავრებიდან მცირე დრო გავიდა, მაგრამ წინასაკრებო და კრებების მუშაობის დღეებში გაჩაღებული შრომითი და პოლიტიკური აქტივობა ჩვენი ქვეყნის მმრომელი მასების კრებების შემდგომ პერიოდში ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.

„უზრუნველყოფილ იქნას ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის აღმავლობა სოციალისტური წარმოების განვითარების მაღალი ტემპების, მისი ეფექტურობის ამაღლების საშეიწინერო-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე, ამის ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ და განსაკუთრებული ᲧᲣᲠᲐᲦᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ მივაქცეთ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲛᲠᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲤᲚᲝᲑᲐ“.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲕᲐ

ქრაგთა სოციალისტური კავშირის კონგრესი

მშვიდობა, მეგობრობა!

ქაირო. (საკდესი). არაბთა სოციალისტური კავშირის საყოველთაო ეროვნული კონგრესი 24 ივლისს მუშაობას გააგრძობდა პრეზიდენტ ანვარ სადათის თავმჯდომარეობით.

შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის მეთაურობით.

დარბაზში დიდხანს ისმოდა მეძახილები საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის პატივისცემად.

არაბთა სოციალისტური კავშირის საყოველთაო ეროვნული კონგრესის დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის სიტყვა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის არაბთა სოციალისტური კავშირის საყოველთაო ეროვნული კონგრესისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით ბ. ნ. პონომარიოვმა კონგრესს გადასცა სამახსოვრო საჩუქარი — სურათი, რომელზეც გამოსახულია მოსკოვის წითელი მოედანი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა, თქვა ამბ. ბ. ნ. პონომარიოვმა არაბთა სოციალისტური კავშირის საყოველთაო ეროვნულ კონგრესზე, გვინდოდეს მადლობა სახელით მოვიხსენიოთ და წარმატებანი ვუსურვოთ არაბთა სოციალისტური კავშირის საყოველთაო ეროვნული კონგრესის დელეგატებს, არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტს, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარეს და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს ანვარ სადათს, მთელ მეგობარ ეგვიპტელ ხალხს.

ნება მიბოძეთ აგრეთვე მოგილოცოთ მე-19 წლისთავი ივლისის რევოლუციისა, რომელიც მოხდა არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი ლიდერის, ამაგდარ ნასერის ხელმძღვანელობით. რევოლუციამ ეგვიპტელ ხალხს დაუსახა ეროვნული და სოციალური განთავისუფლების გზა, ანეიტრალიზმის, კოლონიალიზმისა და კაპიტალიზმის ბორკილების დამსხვრევის გზა.

თქვენი კონგრესი აჯამებს რევოლუციური გზით, განსაკუთრებით 1961 წლის ისტორიული დეკრეტების გამოცხადების შემდეგ ქვეყნის განვითარების შედეგებს და სახავს მისი განვითარების პროგრამას.

ეგვიპტის ანტიიმპერიალისტური რევოლუციამ, თქვა შემდეგ ამბ. პონომარიოვმა, არ შეჩერებულა ეროვნული განთავისუფლების ეტაპზე. ეგვიპტელი ხალხის, მისი ბელადის ამაგალ აბდელ-ნასერის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ ანტიიმპერიალისტური ბრძოლის მსვლელობაში ეგვიპტე გადაიზარდა სოციალურ რევოლუციაზე. უარყო კაპიტალიზმი ეროვნულ-პოლიტიკურ სიცოცხლეში. თქვენმა ხალხმა აირჩია განვითარების სოციალისტური გზა, როგორც ერთ-ერთ ეროვნულ-ეკონომიკურ სისტემა. ეგვიპტე ხალხმა აირჩია ეგვიპტის ეროვნული ეკონომიკის ინტენსიური, ეროვნული ბაზის, ეროვნული ინდუსტრიის, ეროვნული ფინანსური სისტემის, ეროვნული ვაჭრობის, ეროვნული ენერგეტიკის, ეროვნული ტრანსპორტის, ეროვნული ინფორმაციის, ეროვნული ინფორმაციის, ეროვნული ინფორმაცი

ზღვაზე.

ფოტოეტიუდი მ. პეტროვისა.

ᲛᲝᲐᲮᲚᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲜᲘᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲐ. 26 ივლისი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). ხუთი დღე დარჩა სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის საზეიმო დახურვამდე. სწორედ ამ უკანასკნელი დღეების შეხვედრებიდან უნდა გაიაზგარიშონ მოკავშირე რესპუბლიკების და მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდების საბოლოო სატურნირო მდგომარეობა. ჯერჯერობით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდის პრეტენდენტები ირიან რსფსრ-ის, მოსკოვის, უკრაინის, ბელორუსიის, ლენინგრადისა და საქართველოს გუნდები. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ტანმოვარჯიშეთა ისპარეზობის დამთავრების შემდეგ დიდად გაიზარდა ქულათა სხვაობა.

შეტად მნიშვნელოვანი იყო შაბათ საღამოს, კვირისა და დღევანდელი შეხვედრები. განაწილდა მედლების კომპლექტები. რაც შეეხება ძალოსნობას, ფიცარნაგზე რეკორდების ნიაღვრის მოწმენი ვიყავით. დიახ, საბჭოთა ძალოსნებს ასეთი წარმატება ერთ შეჯიბრებაში თითქმის არ ჰქონიათ. და მაინც, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მეორე მძიმე წონაში მსოფლიოში ყველაზე ღონიერი ადამიანის ვ. ალექსეევის გამოსვლა. დამყარებულ იქნა შვიდი მსოფლიო რეკორდი. ეს ჭეშმარიტად ტრიუმფია, მით უფრო, რომ შვიდივეს ავტორი გახლდათ ვ. ალექსეევი. მან აწია 225,5 კილოგრამი, აიტაცა 180 კილოგრამი, აკრა ჯერ 233, შემდეგ 235 კილოგრამი და სამეიდში სამჯერ უჩვენა ფენომენალური შედეგი—632,5; 637,5; 640 კილოგრამი. რა თქმა უნდა, ვ. ალექსეევს ბადალი არ ყავდა და სპარტაკიადის ჩემპიონობაშიც აბა ვინ შეედავებოდა. ვ. ალექსეევმა დიდძალი ქულები. შესძინა რსფსრ-ის გუნდს. მეორე იყო ს. ბატიშჩევი (უკრაინა) — 572,5 კილოგრამი, მესამე მისივე თანაგუნდელი ვ. ეფრემოვი — 557,5 კილოგრამი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი დ. ხიზამბარელი 507,5 კილოგრამით შეშვიდე ადგილზე გამოვიდა. საერთოდ ძალოსნებმა სპარტაკიადის ტურნირზე 17 მსოფლიო, ევროპის ერთი, სსრ კავშირის 2 და იუნიორთა 2 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. რადგან საუბარი რეკორდებზე მიდგა, ზედმეტი არ იქნება ვიცოდეთ, რომ სპარტაკიადის 23 დღის მანძილზე დამყარებულია 17 მსოფლიო, ევროპის 20, სსრ კავშირის 24, სპარტაკიადის 64 და მოკავშირე რესპუბლიკებისა და მოსკოვისა და ლენინგრადის 123 რეკორდი. ისევე როგორც მძლეოსნობასა და ცურვაში, ქულათა დიდი რაოდენობა მოდის ტანმოვარჯიშეებზეც. აქ პირდაპირ გაგვაოცეს ბელორუსმა სპორტსმენებმა, განსაკუთრებით კი ქალებმა. ერთადერთი, ვისაც ისინი ჩამორჩნენ, მოსკოველები იყვნენ. რაც შეეხება საქართველოს გუნდს, რომელმაც მეოთხე ადგილი დაიკავა (62 ქულა), მათ ბელორუსებმა გაუსწრეს 113 ქულით. ამან ბელორუსიის ნაკრებს საშუალება მისცა არა მარტო გაეზარდა ქულათა სხვაობა მეხუთე ადგილისათვის მეგრძოლ საქართველოს გუნდთან, არამედ ლენინგრადის გუნდსაც 49 ქულით გაუსწრო და მესამეოთხე ადგილზე იმყოფებ. ტანმოვარჯიშე ქალთა ასპარეზობა აბსოლუტური პირველობისათვის დამთავრდა ბელორუსიის სპორტსმენთა ტრიუმფით. მათ დაიკავეს პირველი და მესამე ადგილები. აბსოლუტური პირველობა ხვდა თ. ლაზაკოვიჩს — 75,2 ქულა. მოსკოველი ო. კ�ქულა (გ. ლოლაძე 18,5 ქულით მეშვიდე იყო); რგოლებზე — მ. ვორონინმა (მოსკოვი) — 18,875 (მ. ბოგუსმა მერვე ადგილი დაიკავა —18,05); ორძელზე — ა. მალეევმა — 18,825 ქულა; ღერძზე — მ. ვორონინმა და მ. ბოგუსმა მოაგროვეს თანაბარი ქულები — 18,55. ა. ნოზაძე — 18,425 ქულით მეხუთე; ბრჯენით ხტომები ნ. ანრასიოვა მეორე იყო — 75,05 ქულა; ა. კომელი (ბელორუსია) 74,6 ქულით ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. საქართველოს წარმომადგენელი რ. სიხარულიძე მეექვსე იყო — 73,90 ქულა. კვირას გათამაშდა ჩემპიონობა ცალკეულ იარაღებზე, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. საბრრზო ადგილებზე გამოვიდნენ უძლიერესნი: ვაჟები — თავისუფალ ვარჯიშში გაიმარჯვა ა. მალეევმა (ბელორუსია) — 18,35 ქულა, ტაიჰუნ ა. ტრიფონოვმა (რსფსრ) — 18,775 ქულა (გ. ლოლაძე 18,5 ქულით მეშვიდე იყო); რგოლებზე — მ. ვორონინმა (მოსკოვი) — 18,875 (მ. ბოგუსმა მერვე ადგილი დაიკავა —18,05); ორძელზე — ა. მალეევმა — 18,825 ქულა; ღერძზე — მ. ვორონინმა და მ. ბოგუსმა მოაგროვეს თანაბარი ქულები — 18,55. ა. ნოზაძე — 18,425 ქულით მეხუთე; ბრჯენით ხტომები ნ. ანდრიანოვი (რსფსრ) — 18,875 ქულა; მ. ბოგუსმა მერვე ადგილი დაიკავა — 18,675 ქულა. ქალები: თავისუფალ ვარჯიშში — ო. კარასიოვა — 19,225; რ. სიხარულიძე მეოთხე იყო—18,775; დერეო ო. კარასიოვა — 18,825; რ. სიხარულიძე მეშვიდე იყო — 18,15; ნაირსიმაღლის ორძელი — თ. ლაზაკოვიჩი — 19,25, რ. სიხარულიძემ მერვე ადგილი დაიკავა —18,65; ბრჯენით ხტომები— ს. ბუზანა (მოსკოვი) 18,725 ქულა.

„კრილია სოვეტოვის“ სპორტის სასახლეში პაექრობას განაგრძობენ მოფარიკაველები. პირველი ადგილისათვის ბრძოლაში კვირას შეხვედრები ჰქონდათ რსფსრ-ისა და მოსკოვის გუნდებს, გამმარჯვეს რსფსრ-ის მოფარიკაველებმა 9:4 და პირველი ადგილი დაიკავეს. მეხუთე-მეექვსე ადგილებისათვის დავა ჰქონდათ ლენინგრადისა და საქართველოს გუნდებს. აქ წარმატება ლენინგრადელებს ხვდათ — 9:7. ასპარეზობის მესამე დღის შემდეგ ლიდერობს რსფსრ-ის გუნდი 95 ქულა. საქართველოს გუნდი 14 ქულით მეხუთეა.

დაიწყო ფინალური შეხვედრები ხელბურთში, ფრენბურთსა და წყალბურთში. შეუძლებელი გამოდგა მოსკოვისა და საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს მოსკოველებმა 19:13. ჩვენმა ქალთა გუნდმა მოუგო სომხეთის ნაკრებს 14:10. ფრენბურთში უზბეკეთის ვაჟთა გუნდმა დაამარცხა საქართველოს ნაკრები 3:1. ყაზახეთის ფრენბურთელ ქალთა გუნდმა მოუგო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს 3:2.

სტარტი აიღეს მცურავებმა და წყალში მხტომელებმა. ძირითადი ბრძოლა ლუჟნიკში მიმდინარეობს, ბუნაობრთა შეხვედრები კი კიევსა და ლვოვში. უკვე შედგა რამდენიმე ფინალური შეხვედრა მოსკოვში.

Ვ. ᲒᲐᲒᲔᲚᲘᲐ.

ᲝᲠᲘ ᲝᲥᲠᲝ, ᲔᲠᲗᲘ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝ

ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲚᲔᲙᲕᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲝᲛᲐᲠ ᲤᲮᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲑᲣᲨᲘᲜ საქართველოს ᲭᲣᲚᲐᲗᲐ ᲯᲣᲚᲐᲑᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲐᲢᲐ. თავი გამოიჩინეს გულაღმა მოიურავეებმა თინათინ ლეკვეიშვილმა და ვიქტორ კრასკომ. თინათინმა 100 მეტრზე უჩვენა 1.08,8 — მოიპოვა ჩემპიონობა და სპარტაკიადის რეკორდიც დაამყარა. ვ. კრასკომ ამავე დისტანციაზე მესამე ადგილი დაიკავა, დრო — 1.01,8.

მშსამდე მოიპოვა სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება ჩვენმა სახელოვანმა ვალერმბოლმა ომარ ფხაკაძემ. გუშინ იგი სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა სპრინტში. ფინალში მან დაამარცხა უკრაინელი ვალერმბოლი ს. კრავეოვი.

ᲛᲝᲐᲮᲚᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲜᲘᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

ᲤᲐᲚᲠᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

Ტ. ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘ — ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜ მოსკოვში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა — ტ. პეტროსიანისა და ვ. კორჩნოის ნახევარფინალური მატჩის მეათე პარტია. თეთრებით თამაშობდა ვ. კორჩნოი.

პარტია 41-ე სვლაზე დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამთავრდა ყაიმით.

ამრიგად ტ. პეტროსიანმა მოიგო მატჩი ანგარიშით 5,5:4,5 და ფინალში გავიდა. სადაც მისი მეტოქე იქნება ამერიკელი რობერტ ფიშერი.

ᲔᲥᲕᲡᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲒᲔᲢᲔᲑᲝᲠᲒᲘ. შვეიცის ამ ქალაქში მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ მსოფლიოს ჩემპიონები ბორის სპასკი და ნონა გაფრინდაშვილი. მეხუთე ტურში ყურადღების ცენტრში იყო მსოფლიოს ჩემპიონების შეხვედრა. პარტია ჯადიდო. საბჭოთა მოჭადრაკე რომანიშინმა მოუგო შვედ იანსონს. მეექვსე ტურში 20 წლის შვედმა გროსმაისტერმა ულფ ანდერსონმა დაამარცხა გროსმაისტერი ვლასტიმილ ჰორტი, (ჩეხოსლოვაკია), სპასკიმ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა უნგრელ ბილუკთან. რომანიშინისა და ნონა გაფრინდაშვილის პარტია გადადიო.

ექვსი ტურის შემდეგ ლიდერობენ უ. ანდერსონი — 4,5 ქულა. ბ. სპასკის და რომანიშინს 3,5-3,5 ქულა და თითო ჯადადებული პარტია აქვთ, ნონა გაფრინდაშვილს — 1,5 ქულა და ორი ჯადადებული პარტია.

ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲔᲜ ᲡᲛᲘᲡᲚᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲑᲠᲐᲖᲣᲜᲘ

ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ. გრძელდება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი „ბმმ“. ლიდერობენ საბჭოთა გროსმაისტერი ვასილ სმისლოვი და აუსტრალიელი გროსმაისტერი ბრაუნი — 6,5-6,5 ქულა ათიდან. პ. კერესს 5,5 ქულა აქვს.

ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲖᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲤᲘᲨᲔᲠᲘ ᲛᲘᲘᲜᲔᲕᲔᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲔᲚᲐᲓ

ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲨᲘ გამართული მატჩის შემდეგ იუპის კორესპონდენტი რიჩარდ შნეიდერი შეხვდა რ. ფიშერსა და ბ. ლარსენს. კორესპონდენტსა და გროსმაისტერებს შორის გაიმართა საუბარი.

რ. ფიშერმა განვლილი მატჩის შედეგები შეაფასა 21 ივლისს გამართულ ოფიციალურ დარბაზობაზე და დენვერი დასახელა როგორც „ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ქალაქი, სადაც კი მას ოდესმე უთამაშია“. ლარსენმა კი შენიშნა, რომ იგი დიდ უსიამოვნებას განიცდიდა კოლორადოს შტატში სიცხისა და ჰაერის მეტისმეტი სიმშრალის გამო.

— მე ვფიქრობ, რომ დიდი შეცდომა დავუშვი, როცა დავთანხმდი დენვერში მატჩის ჩატარებაზე, — თქვა ლარსენმა. — აქ ძალიან დიდი სიცხეა.

ტემპერატურა დენვერში ხშირად იწევდა 32 გრადუსამდე ცელსიუსით, ხოლო ხანდახან 37-მდე და უფრო ზევით. ლარსენმა თქვა, რომ ჭადრაკის მატჩებისა და ტურნირებისათვის მას ურჩევნია ზღვისპირა ქალაქები.

დანიელმა გროსმაისტერმა შემდეგ აღნიშნა, რომ ცუდად გრძნობდა თავს და ამან საგრძნობლად იმოქმედა ფიშერთან მის თამაშზე.

ფიშერმა ხაზგასმით გამოთქვა თავისი დიდი სურვილი საჭადრაკო გვირგვინს შეეცილოს საბჭოთა მოჭადრაკეებს. ლარსენი ფიქრობს, რომ ფიშერს სამე გაუადვილდება, თუ მისი მეტოქე კორჩნოი აღმოჩნდება.

— იგი (ფიშერი) თამაშის დროს უშვებს უმნიშვნელო შეცდომებს, — თქვა ლარსენმა, — კორჩნოისთან ამას არაფერი არ მოჰყვება, პეტროსიანთან კი — მნიშვნელობა ექნება.

ᲤᲘᲨᲔᲠᲘ ᲛᲘᲘᲜᲔᲕᲔᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲔᲚᲐᲓ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲒᲔᲒᲘ

ᲠᲘᲝ-ᲓᲔ-ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝ. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებმა ბრაზილიის ფეხბურთელებმა შინ სამი თამაშის ფრედ დამთავრების შემდეგ მოიგეს მეოთხე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. მათ დაამარცხეს პარაგვაის ნაკრები — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი მე-40 წუთზე გაიტანა კლაუდიომირომ. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულ იქნა ჟერსონი. მსოფლიოს ჩემპიონები მიემგზავრებიან არგენტინაში, სადაც ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ.

□

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ მეორე ჯგუფის მეოთხე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატზე მორიგი მატჩები. საქართველოს კოლექტივების გასვლითი თამაშები ჰქონდათ. სოხუმის „დინამომ“ ანგარიშით 0:3 წაგო გორონეჟის „ტრუდთან“, ფოთის „კოლხეთმა“ — ნოვომოსკოვსკის „ხიმიკთან“— 0:2, მახარაძის „მერკურიმ“ — ელადმირის „მოტორთან“ — 0:2, გორის „დილამ“ — რიბინსკის „სატურნთან“ — 1:3. რუსთავის „მეტალურგმა“ ფრედ 1:1 ითამაშა კოსტრომაში ადგილობრივ „სპარტაკთან“.

ᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ?

□

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲣᲠᲔᲛᲘ ᲠᲝᲚᲘᲐ

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ. (სპეც. კორ.). არ შეიძლება აუღელვებლად გავიხსენოთ ავტომანქანა „კოლხოხეზეკი“ შეეკლიტეკი გვერდებით, სისხლით მოსვრილი ძარა, ადამიანის ხორცისა და თმის ნაგლეჯები... მხოლოდ ერთმა შეძლო ამ ჯოჯოხეთიდან სხვების დაუხმარებლად წასვლა, დანარჩენი ოთხნი დუშეთის საავადმყოფოში მიიყვანეს, სამეოდე დღის შემდეგ გარდაიცვალა ახალგაზრდა მლეთელი ეიტკაცი, ნ. ბეთხეზნი, მძიმე მდგომარეობაშია მეორე ახალგაზრდა, მლეთის კოლმეურნეობის ავტომძღოლი ა. ნაზოლაძე, კარგ დღეშა არც ავარიის მიზეზი ოთარ ნაზღაიძე და მისი მეუღლე არიან.

რა მოხდა, რამ გამოიწვია კაცის ასეთი უაზრო სიკვდილი? ადამიანმა, რომელზეც არ ვაკეთებ არც ამხანაგების რჩევა-დარიგებამ, არც უფროსების ჯაფრთხილებამ. მლეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ოთარ ნაზღაიძე დაუშვებელი სისწრაფით დაეჭროლებდა კოლმეურნეობის ავტომანქანას. ამ რამდენიმე ხნის წინათ მას ავტომანქანის მართვის უფლებაც ჩამოართვეს, მაგრამ თავნება კაცმა ამას ანგარიში როდი გაუწია, კვლავ ეგრძელებდა ჯიბრით ავტომანქანით. ხალხმა იცოდა „ოლმეურნეობის თავმჯდომარის ხასიათი, და ირიდებოდნენ კიდეც მასთან მგზავრობას.

15 ივლისს ოთარ ნაზღაიძე თბილისს გაემგზავრა, საჭესთან ჩვეულებისამებრ თვითონ მოიკალათა, მისი მგზავრები იყვნენ მეუღლე ლ. ნაზღაიძე და ერთი უცნობი პირი, რომელიც იღბლად გადარჩა, ავრეთვე ა. ნაზღაიძე და ნ. ბეთხეზნი.

ავტომანქანა დიდი სისწრაფით მიჭრიდა საქართველოს სამხედრო გზაზე. მშვენიერი დილა იყო და, რა თქმა უნდა, სიკვდილზე არავინ ფიქრობდა, თომცა თავნება „მძღოლი“ ანად დაგიდევდათ მოძრაობის წესებს, რასაც შეეძლო გამოეწვია ადამიანთა დაღუპვა. სოფელ ეიხისძირის მახლობლად ავტომანქანა ჯეს მიერას ხეს დაეჯახა. რის შედეგადაც მოხდა ის, რაც ზემოთ ვიამბეთ.

Ა. ᲗᲝᲛᲐᲫᲔ.

რედაქტორი
Დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲝᲕᲣᲡᲛᲘᲜᲝᲗ ᲔᲥᲘᲛᲡ

ᲕᲔᲠᲘᲓᲚᲘᲗ ᲔᲖᲔᲡ

ᲪᲮᲔᲚᲐ. მზე უმოწყალოდ აცხუნებს. ასეთ დროს, მით უმეტეს, თუ მზისგულზე ხანგრძლივად ყოფნა მოგვიხდა, იმეითია არ არის ორგანიზმის გადახურება, რაც იწვევს ე. წ. „მზის დაკვრას“. ამ საშიში მოვლენის შემთხვევაში, განსაკუთრებით თავის მიდამოში მზის პირდაპირი სხივების ხანგრძლივი და ინტენსიური მოქმედების შედეგად ზიანდება ცენტრალური ნერვული სისტემა. ზოგჯერ ადგილი აქვს ორგანიზმის ზოგად გადახურებასაც.

ზოგიერთი ავტორი აიგივებს მზის დაკვრასა და სითბურ დაკვრას, რაც სწორი არ არის. სითბური დაკვრა ხდება ძირითადად მთელი ორგანიზმის გადახურების შედეგად, უმეტესად დახურულ შენობებში, ხოლო მზის დაკვრა ვითარდება მაშინ, როცა უმეტესად გადახურდება თავი. მზის დაკვრას ხელს უწყობს თბილი, მუქი ფერის ტანსაცმელი, რომელიც ცუდად ატარებს ჰაერს და წყალს ორთქლს. იგი შეიძლება მოხდეს მაშინაც, როცა ადამიანს უწევს ხადამღელი ფიზიკური მუშაობა ნესტიან და ისეთ ადგილს, სადაც ჰაერი არ მოძრაობს. საშიშია აგრეთვე მზის გულზე ხანგრძლივი წოლა (პლაჟებზე, მდინარის პირად და ა. შ.). მზის დაკვრა უფრო მეტად ემართებათ მზის სხივებს მიუჩვეველ პირებს, მას ხელს უწყობს აგრეთვე სიმთვრალე, გადამეტებული რაოდენობით საკვების მიღება.

როგორ შევივარძლნობთ მზის დაკვრას? დასაწყისში ვითარდება დამტვრეულობა, მეტ-ნაკლებად თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, მხედველობის მოშლა, ყურების შუილი, ზოგჯერ ყლაპვის მოშლილობა, გულის რევა — პირღებინება. ვითარდება საერთო სისუსტე, ადამიანს უწოლილება სახისა და თავის კანი, აუწევს ტემპერატურა 38-38,5 გრადუსამდე, შემდეგ კი 40 გრადუსის ფარგლებში და ზევითაც. ძლიერ ხშირდება პულსი და სუნთქვა. მძიმე შემთხვევაში მოსალოდნელია სიკვდილი — სასუნთქი ცენტრის დამბლის შედეგად.

დროული საექიმო დახმარებით შეიძლება სრული გაჯანსაღება, თუმცა თითქმის ყოველთვის რჩება სხვადასხვა ზოგადი ხასიათის გართულება: მძიმენარობა, დამტვრეულობა, თავბრუხვევა, თავის ტკივილი, წყურვილი, მადის დაკარგვა და სხვ. ამიტომაც განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ვერეფდოთ მას. დაავადების საერთო ხანგრძლივობაა რამდენიმე დღიდან რამდენიმე კვირამდე.

მზის დაკვრის თავიდან აცილებისათვის საჭიროა ჩავიცვათ და დავიხუროთ მსუბუქი, ღია ფერის ტანსაცმელი და ქუდი, შევამციროთ ფიზიკური დატვირთვა და სიარული მზის პირდაპირი სხივების მოქმედების დროს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ მოვერდებით დიდი რაოდენობით საკვებისა და სითხის მიღებას, ალკოჰოლს.

მკურნალობისათვის აუცილებელია ექიმის გამოძახება. ხოლო, სანამ ექიმი მოვიდოდეს, ყველას შეუძლია პირველი დახმარების აღმოჩენა — **ავადმყოფი უნდა მოვათავსოთ ბნელ, ოღონდ სუფთაჰაერიან ოთახში, გავხადოთ ტანსაცმელი, სხეულზე მოვასხურთო წყალი, დავადოთ ცივი კომპრესები, თავზე — ყინული, კარგია სველი შეხვევა და გრილი წყლის გადავლება, ცივი წყლის აბაზანა და შხაპი სასურველი არ არის, ხოლო მოთბო აბაზანა 30 გრადუსამდე, შემდგომი გაგრილებით, მიზანშეწონილია.**

ცხელ დღეებში ძალიან ხშირია გაძლიერებული წყურვილი. ძლიერი წყურვილი განსაკუთრებით აწუხებთ იმათ, ვინც მაღალი ტემპერატურის პირობებში, ცხელ საამქროებში მუშაობს.

ამ დროს ადგილი აქვს ძლიერ ოფლის დენას, რაც იწვევს ორგანიზმის არა მარტო წყლით, არამედ მინერალური მარილებით გაღარიბებასაც. ამის შედეგად ქვეითდება ორგანიზმის უნარი შეიკავოს წყალი, რასაც თან სდევს დაუკმაყოფილებელი წყურვილი.

წყურვილის შესამსუბუქებლად კარგია, თუ წყალთან ერთად მივიღებთ მარილის 0,3-0,5 პროცენტიან ხსნარს — მესამედი ჩაის კოვზი სუფრის მარილი 100 გრამ წყალზე.

წყურვილის მოკვლა შეიძლება აგრეთვე გამგრილებელი წყლების ზომიერად მიღებით, კარგია ცხელი ჩაის სმა, ცხადია ზომიერად. სწორი არ არის დიდი რაოდენობით სხვადასხვა ცივი და ყინულიანი სითხის მიღება, რაც მხოლოდ დროებით წყვეტს წყურვილს.

დოც. Გ. ᲛᲐᲢᲐᲑᲔᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲘᲣᲩᲐᲘ-ᲤᲘᲩᲩᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲐᲓᲛᲝᲩᲔᲜᲐ

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა გურამ შარაძემ ამას წინათ ყირიმში, ალუპკის ფონდებში, ვორონცოვის არქივის შესწავლის დროს მიაკვლია დიდი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის 44 აკვარელურ ნამუშევარს.

როგორც ცნობილია, მიხაი ზიჩი, შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრატორი, მეფის რუსეთის კარის მხატვარი იყო. 1900-1901 წლებში იგი ალდა მეფის კარს ყირიმში, ლივადიის საიმპერატორო სასახლეში, სადაც მოამზადა აკვარელით შესრულებული ალბომი. მხატვარს მოცემული აქვს მთელი სერია საზეიმო მიღებებისა, მეჯლისებისა და გართობებისა. ალბომის ფურცლებზე მას აღუბეჭდავს უცხოელ ელჩები, რომლებსაც ვიზიტები ჰქონიათ მეფესთან და დედოფალთან, ესწრებოდნენ მათთან ერთად სეირნობებს გემით ან ეტლით, იგი თავის კარიკატურებში აღბეჭდავს მღვდლებს, კარის მსახურებს, ოფიცრებს. ამასთან განსაკუთრებული სითბოთი და უშუალობით აცოცხლებს ყირიმის მომაჯადოებელ ბუნებას.

ლივადიის ალბომი იმითაც არის საყურადღებო, რომ აქვე არის მხცოვანი მხატვრის ორი ავტოპორტრეტი. ერთი მათგანი შესრულებულია მეფის პარკში ასახულ კარნავალზე. ზიჩი განსმარტოებით დგას, მოსიმე საზოგადოებისაგან საკმაოდ შორს და აკვლებს ესკიზს. მეორე ავტოპორტრეტი უფრო დრამატული და გამომხატველია. ალბომის ფურცელზე მოთავსებულია პორტრეტი ჰალარა, სათვალიანი მხატვრისა, რომელიც ეტიუდს ამზადებს.

ამჟამად აღმოჩენილი აკვარელით შესრულებული 44 ნახატი და განსაკუთრებით ორი ავტოპორტრეტი მხატვრის ხანდაზმულობის პერიოდიდან ჯერჯერობით ერთადერთია, რამაც უნგრეთის საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია.

გ. შარაძე გასულ წელს ქართული კულტურის დიდი მოამაგის, ისტორიკოსისა და მწერლის ლაიოშ ტარდის მიწვევით იმყოფებოდა მოძმე უნგრეთის რესპუბლიკაში. იგი გამოვიდა უნგრეთის რადიოთი და ილაპარაკა მის მიერ მიკვლეული მიხაი ზიჩის აკვარელების შესახებ, აღნიშნა, თუ რა დიდ პატივს სცემენ საქართველოში დიდ უნგრელ მხატვარს.

უნგრეთის პრესა ფართოდ გამოეხმაურა ქართველი მეცნიერის აღმოჩენას. უნგრულმა გაზეთმა „მადიარ ჰირლაპმა“ გამოაქვეყნა იულია სცეკერნის წერილი გ. შარაძის მიერ მიკვლეული ალბომის შესახებ. ამავე თემაზე საინტერესო სტატია დაბეჭდა ცნობილმა მწერალმა იმატვან ბეკეშმა ეურნალ „ორსაგ ვილაგში“. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს იმ მეგობრული და კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას, რაც დღითიდღე ვითარდება უნგრეთსა და საქართველოს შორის. ამის ერთ-ერთი ილუსტრაციაც არის ქართველი მეცნიერის დაინტერესება უნგრული ხალხის სასიქადულო შვილის მიხაი ზიჩის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის ამსახველი მასალებით.

Ლ. ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ: უნგრულ ეურნალ „ორსაგ ვილაგის“ გარეკანი; ეურნალში გამოქვეყნებულია მ. ზიჩის ახლად აღმოჩენილი აკვარელების ილუსტრაციები.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ „ᲕᲝᲠᲝᲜᲔᲟᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲒᲐᲠᲔᲜᲘ“

ᲥᲚᲐᲣᲓ ᲡᲘᲚᲘᲢᲝᲣᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲚᲔᲥᲪᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

როცა სრულიად უცნობი, ახალგაზრდა ინგლისელი მწერლის ალან სილიტოუს პირველი რომანი გამოქვეყნდა („მაბათ საღამოს და კვირა დილით“ 1959 წ.) ლიტერატურულმა კრიტიკამ აღნიშნა, ამ მწერალმა მეტი ალარაფერი რომ არ დაწეროს, ლიტერატურის ისტორიაში მაინც ეარჩენაო. მაგრამ სილიტოუ მას შემდეგ დაუღალავად მუშაობს და ახალ-ახალ ნაწარმოებებს აქვეყნებს.

სრულიად ახალი კუთხით დაანახვა მკითხველს თავისი შემოქმედებითი სახე სილიტოუმ პოეზიაში. მისი ლექსების ორი კრებული ერთგვაროვრად მოულოდნელიც კი იყო. უეჭველი იყო, უწესრიგს ყოველისა სილიტოუს პოეტური სიტყვის ნოვატორული ეფექტიანობა. მისი ბრწყა მუდამ გამოირჩეოდა აზრისა და სათქმელის სიახლით, სიმძაფრით, სიზუსტით, ეგრამანი ინგლისურ ენაზე, ჯერ კიდევ მაშინ, ექვსი წლის წინათ, სილიტოუმ ვინერა ურუშაძის თარგმანის შთაგონებით, სცადა ტარიელის ლომ-ვეფხთან ბრძოლის ეპიზოდი სრულიად ახალი პოეტური საშუალებებით გადმოეცა.

ბუნებრივია, მწერლის მიერ კარძოწერილში მოწერილი გეგმების, მოსაზრებების, შეფასებების და სხვ. გამოქვეყნება უხერხული იქნებოდა. ამ დღეებში კი ალან სილიტოუმ გაშოგვიზავნა თავისი ლირიკული ლექსების ახალი, მესამე კრებული „სიყვარული და ვორონეჟის შემოგარენი“, რომელიც საბჭოთა ჯავშრში მოგზაურობით ნაკარნახევ მორეული ასოციაციებს ემყარება და რომელშიც სხვათა შორის „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკაც არის ბამოყენებული. ნიუიორკში გამოცემულ ლექსების ამ კრებულში გვხვდება ნატიფი გემოვნებითა და მაღალი ოსტატობით შესრულებული ლექსები „სიყვარულის სასახლე“, „ალტამირა“, „მდინარემ ჩარეცხა ნაპირები“, „ერენბურგის სიკვდილი“, „პოეტი“, „სიყვარული და ვორონეჟის შემოგარენი“ და „ვეფხისტყაოსანი“. ამ ლექსს ქვესათაურად უწერია „შთა რუსთაველიდან“ და იგი „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ეპიზოდის (ტარიელისგან ლომ-ვეფხის დახოცვის ამბავი) მეტად ორიგინალურ, თანამედროვე ინგლისურ ლექსთაწყობის ნორმებით გამართულ თარგმანს წარმოადგენს.

იმათ, ვინც თავის დროზე პირდაპირ თუ ირაკვით გამოთქვა აზრი, რომ ვენერა ურუშაძეს რითმაზე უარი არ უნდა ეთქვა და რომ ახლა თითქოს შესაძლებელია გარითმული ლექსით „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა ინგლისურად (როგორც ეს პატივცემულ ვახტანგ ერისთავს უკიდია ორიოდეგ გამოუქვეყნებელ ტაეპში), იმათ მეთქი, ბუნებრივია არაფრად ეჯაზნიკებათ სილიტოუს ექსპერიმენტი. აქ არათუ რითმაზეა ხელი აღებული, არამედ რიტმოლოგიადაც ს